დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება

განკარგულება:**g-109. 1092333211**

თარიღი:**28/11/2023**

დმანისის მუნიციპალიტეტში საზოგადოებრივ ტრანსპორტზე ხელმისაწვდომობის გაზრდა ავტობუსების დამატებით და სამარშრუტო ხაზების შექმნის თაობაზე პეტიციაზე, საკრებულოს სივრცით–ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიისა და საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის ერთობლივი გადაწყვეტილების ცნობად მიღების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი'' 61-ე მუხლის მე-2-ე პუნქტის, 86-ე მუხლის მე-12 მუხლის ,,ბ'' ქვეპუნქტის, მე-15 მუხლისა და და დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 14 დეკემბრის №48 დადგენილების ,,დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ'' 94-ე მუხლის შესაბამისად, დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. ცნობად იქნეს მიღებული, დმანისის მუნიციპალიტეტში საზოგადოებრივ ტრანსპორტზე ხელმისაწვდომობის გაზრდა ავტობუსების დამატებით და სამარშრუტო ხაზების შექმნის თაობაზე პეტიციაზე, საკრებულოს სივრცით–ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიისა და საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 2023 წლის 01 ნოემბრის სხდომის ერთობლივი გადაწყვეტილება.

2. დაევალოს საკრებულოს აპარატს დმანისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტითა და დმანისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის სოციალური ქვეპროგრამებით დამტკიცებული, პეტიციასთან დაკავშირებული ინფორმაციის დაინტერესებული მხარისათვის გადაგზავნა.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ბოლნისის რაიონულ სასამართლოში (ქ. ბოლნისი სულხან საბას ქ. N113).

პაატა ყულიაშვილი

დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი